

სკკპ



ჩვენთვის პროგრამა
ღიად უნების,
მტრებისთვის რისხვა
გადაუნების.

პროგრამა

საბჭოთა კავშირის
ქმედუნესტური პარტიისა

№ 15 თბილისი აპრილი 1961

ნიანუი

გამოცემის XXXIX წელი, ფასი 20 კაპ.



ნახ. გ. ლოლუაბი



იქნებ იცნონ მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია.

იყო დრო, როდესაც დაწყებული სკოლის მასწავლებელი გაღიმებული ეკითხებოდა სკოლაში პირველად მოსულ და მერხებზე ბარტყებივით შემომსხდარ გაბრუნებულ მოსწავლეებს:

— აბა, ბავშვებო, ვინ მეტყვის, რა გვადლევს რძეს?

— რძეს გვადლევს ძროხა! — ყვიროდნენ მიხვედრილი და გახარებული მოსწავლეები.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ბავშვებო! — უთათუნებდა ბავშვებს ლოყაზე ხელს არანაკლებ გახარებული მასწავლებელი და მორიგ შეკითხვაზე გადადიოდა.

ეს იყო დიდი ხნის წინათ, ახლა სულ სხვა დროა, დღეს ქვანახშირიდან ბამბას იღებენ და საყოველთაოდ ცნობილი თეზისი, — ძროხა რძეს გვადლევს, — იმდენად სასაცილოა და პრიმიტიული, რომ ძალაუნებურად გვიხდება საკონსულტაციო ფელეტონის გამოქვეყნება იმ მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომლებიც ჩამორჩნენ თანამედროვე ექსტრამოდერნისტული და ულტრატექნიკური ცხოვრების მაჯისცემას.

დაინტერესებულ მოქალაქენო, ჩაბრძანდით ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (ამჟამად საბჭოთა

მეურნეობაში), გააჩერეთ ნებისმიერი ღლაპი და ჰკითხეთ: — ბიძიკო, საიდან ვიღებთ რძეს?

— ყველიდან! — გიპასუხებთ იგი. თქვენ გაგიკვირდებათ კი არა, გაცემისაგან იყვირებთ, როგორ და საიდანო, მაგრამ აქ გასაკვირი არაფერი

რია. არც რთული ქიმიური ფორმულები და რეაქციები სჭირდება ამ მარტივ პროცესს. საკმარისია პატარა ფინანსური ოპერაცია.

დიდად პატივცემულო ანდრო ხიდემულო (სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყრ-

ფილი თავმჯდომარეა), გთხოვთ განუმარტოთ ამხანაგებს, როგორ ხდება ყველიდან რძის მიღება.

— დიდი სიამოვნებით, მეგობრებო! მოგეხსენებათ, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობას აქვს რძის წველადობის გეგმა, რომელსაც შესრულება უნდა და ჩაბარება. ასეთი გეგმა ჰქონდა ყოფილ ჩემს კოლმეურნეობასაც. ნაკისრი ვალდებულების მიხედვით უნდა მოგვეწველა და ჩაგვებარებინა სახელმწიფოსათვის 29070 კგ რძე. ძროხებს რომ მოვლა-პატრონობა უნდა და მშვიერი ძროხა რომ არ იწველება. ალბათ, ესეც კარგად იცით. მე და ჩვენი მეძროხეობის ფერმის გამგეს მიტუშა ბერძენაძეს რომ ამის თავი არ გვქონდა, ეს, ალბათ, აღარ იცით და სწორედ ამ გარემოებამ დაგვაყენა დიდი აღმოჩენის წინაშე.

— მიტუშა, როგორ ჩავაბაროთ რძე სახელმწიფოს? — ვკითხე მე მიტუშას.

— არაფერი არ გვაქვს და რას ჩავაბარებთ? — მიპასუხა მან.

— რა გვაქვს ჩვენ? — ვიკითხე მე.

— გვაქვს 3 ტონა და 230 კილოგრამი ყველი, — მიპასუხა მეძროხეობის ფერმის აღმრიცხველმა კუჭიკო ფრუიძემ.

— ჰოდა, გამოვხადოთ ყველიდან რძე. — წამომცდა მე დიდი აღმოჩენის პირველი ფორმულა.

რა გვაქვს რძეს

— როგორ? — გაუკვირდათ პირველად ყველას თქვენსავით, მაგრამ პატარა ახსნა-განმარტებისა და ბუღალტერ შალიკო თანდარაშვილის გამჭრიახობის შემდეგ მივიღეთ აღმოჩენის მთლიანი ფორმულა. აი ისიც:

ჩვენი კოლმეურნეობის სეი-

ფიდან გამოღებულ იქნა შიგ არსებული ხელის ჭუჭყი, ვგრეთ წოდებული ფული. ფერმის გამგე და აღმრიცხველი სასწრაფოდ დაუკავშირდნენ ბოლნისის ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორს სტეფანე ბედენოვს და ქარხნის საწყობის გამგეს მადათ მამედოვს. ამხანაგებო, ჩვენ ვითომ ჩავაბარებთ 3 ტონა და 230 კილოგრამ ყველს, თქვენ ამ „ყველს“ გაატარებთ როგორც ჩვენს მიერ თქვენთვის ჩაბარებულ 29070 კილოგრამ რძეს, მოგვცემთ შესაბამის ცნობას. ამის შემდეგ „ყველს“ ვითომ გადავუზავნით ბოლნისის სასურსათო მაღაზიის გამგე სავლე ბუბუტელაშვილს.

— კი, მაგრამ ის დაგვეთანხმება?! — გაიკვირვა ქარხნის დირექტორმა.

— შენ ნუ ინადვლებ, ბუბუტელაშვილს უკვე გადაეცა ყველის საფასური 3.553 მანეთი.

- კი, მაგრამ რძე?
- რძე არ არის.
- ყველი?
- არც ყველი არის.
- აბა რა არის?
- არის „ფული“ და, რაც მთავარია, გეგმა შეასრულეთ თქვენც, ჩვენც და მაღაზიამაც. შეიძლება პრემიებიც მოგვცენ, გასაგებია?

— გასაგებია! — თქვა დირექტორმა და ყველიდან რძის მიღების ეს დიდი აღმოჩენა დამთავრდა.


ერთი რამ მიკვირს ოღონდ, დიდი ნასწავლი კაცი არა ვარ, მაგრამ გამიგონია, რომ დიდი აღმოჩენებისათვის ხალხს ნობელისა და სხვა რაღაც პრე-

მიებს გადასცემენ ხოლმე. ეს ჩვენი აღმოჩენა კი რატომღაც სასამართლოს გადასცეს. არ ვიცი, იქნებ პრემიების გაცემა ახლა სასამართლოებს ევალებათ და, თუ ასეა, ძვირფასო ნიანგო, თხოვე სასამართლოს თავმჯდომარეს, რაც შეიძლება მეტი მოგვცეს, იმიტომ, რომ ბევრნი ვართ.

— დიდი მადლობელი ვართ, პატივცემულო ხიდემულო, საკონსულტაციო საუბრის ჩატარებისათვის. თქვენს თხოვნას უჭველად გადავცემთ სასამართლოს თავმჯდომარეს.

გ. კაკიაშვილი





შინსთია, სადას?!

„ყველა ბუზი ბზუისო, ფუტკართან კი ტყუისო.“

საოცარი მწერია ფუტკარი, ფიჭას აკეთებს, მაქსიმალურად მაგარს, მინიმალურად ცოტა მასალას ხარჯავს, აძლევს არქიტექტურულად ლამაზ და გასაოცრად პროპორციულ ფორმას, ერთი სიტყვით, აკეთებს ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე, შრომობს მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, მისი ჭირნახული კი, როგორც იცით, თაფლივით ტკბილია. შეარგოს!

ჩვენ განზრახული არ გვაქვს დავეწროთ მეცნიერული ნარკვევი ფუტკარზე. უბრალოდ, ეს მშრომელი მწერი კონტრასტმა მოგვაგონა. ან როგორ არ მოგვაგონდებოდა, როცა არონ ელოს ძე ტურფაშვილიც ფუტკარივით „შრომობს“, დაფრინავს კულაშიდან გავრაში, სადაც სავაჭრო დარგში მუშაობს, ჩაასობს ხორთუმს მაღაზიის ბუტკოში და ამოაქვს ტკბილი ცხორებებისათვის საჭირო ნექტარი, აშენებს სახლს კულაში, უკაცრავად, სახლს კი არა — სასახლეს (იხ. სურ. 1), რთავს ოთახებს შესანიშნავი ავეჯით და ჩუმად არის, არ ბზუის. ანდა რატომ უნდა იბზუოს? ბზუილს გაუგონებენ და გაიკვირებენ — ეს რა უქნია არონს, როგორ მოუხერხებია ამოდენა სასახლის აგება, როცა სხვადასხვა მაქინაციებისათვის ორჯერ იყო პასუხისმგებელი მიცემული და ორჯერვე „გამართლებული“ გამოვიდაო?

რა გამტკუნება არონს, როცა მისმა მეზობელმა ილია ხოტეველმა თორმეტოთხინი ორსართულიანი სასახლეც ააშენა, გარაჟიც მოაწყო და შიგ „ვოლგაც“ დააყენა. და ეს მაშინ, როდესაც ხელფასი ორმოცდარვა მანეთი აქვს. სამაგიეროდ ილია სამტრდიის რაიონივერმადის დირექტორის მოადგილეა და რა შუაშია აქ ხელფასი!

კულაში რომ ჩავედით, ასე გვითხრეს — გიორგი ივლიანეს ძე კვანტალიანი არ მუშაობსო. ტყუილია, არ დაიჯეროთ. გიორგი რომ ენახეთ, გადამეტებული შრომისაგან ოფლი სულ წურწურით ჩამოსდიოდა. რას იზამთ, „პობედაში“ ცხელა, მით უმეტეს საკუთარში და, მით უფრო, როცა მანქანა „ყელამდე“ მგზავრებითაა სავე. თითო მგზავრი თითო აგურს ხომ შემატებს გიორგის მეურნეობას? თითო ასეთი აგური ხომა თითო წითელი თუმინიანი? მერედა რამდენი ასეთი „აგური“ მიზიდა გიორგიმ ეზოში? ეს არავის დაუთვლია, ეს არავინ იცის, მაგრამ იცის ამ უტყვემ მოწმემ, გიორგი კვანტალიანის ორსართულიანმა სახლმა, სამტრდიის რაიონში, სოფ. მელაურში რომაა წამოჭიმული.

როგორ მოგწონთ? ეს პატარა „ჩიტის ბუდე“ (იხ. სურ. 2) უმუშევარმა კაცმა ააგო! მაშ ვინც მუშაობს, სასახლის აგებას შეძლებს! ეს ჯერ მუშაობას გააჩნია, მერე — სასახლეს. ლევან გვარამიაც მუშაობს „გლავტორგმორტანის“ ფოთის განყოფილებაში და კაი ხელფასიც აქვს. ახლა ეს ვიკითხოთ: შეესაბამება ლევანის ხელფასს ის ორსართულიანი სასახლე ფოთში, კომკავშირის ქუჩაზე რომ წამოჭიმა? არც ხელფასს შეესაბამება და არც მისი ოჯახის მოთხოვნილებას. ამიტომ მიაჭირავე ლევანმა სახლის პირველი სართული საბავშვო ბაღს. იქ ახლა ბავშვები ფუტკარებივით ირევიან და, ალბათ, იმიტომ ირევიან, რომ თაფლი ლევანმა გალოკოს.

ლევანის მეზობელს მიხეილ გაგუას თაფლთან არა აქვს საქმე. ის ფოთის სორცკომბინატში ძეხვეულობის საამქროს გამგედ მუშაობს. თუ მიხეილის მიერ დამზადებული ძეხვი კლოფრამი სულ დიდი სამი მანეთი ღირს, მაშ ვიანგარიშოთ, რა სიგრძის ძეხვი უნდა დაემზადებინა მიხეილს, რომ ამ ძეხვის ფასის მონარჩენით კიროვის ქუჩაზე, 75 ნომერში, ორსართულიანი სახლი და ერთი კაი „ვოლგა“ ეყიდნა?!



ეს რა არისო, შევევადავება მიხეილი. აგერ ჩვენი მეორე მეზობელი, ფოთელი იაკობ ზიზოვეი არც ძეხვს აკეთებს, არც კარაქს, მატარებელში წვრილწვრილად ჰყიდის კამფეტებს, ფუნთუშებს, ლიმონათს და სხვა წვრილმან რამეურებს და ახლა მახარადის ქუჩაზე, 19 ნომერში, კარგა მსხვილ ორსართულიანი სახლს აშენებს.

თუ შედავებაზეა, ყველაზე მეტი შესადავებელი ისევ მე მაქვსო, იტყვის ჩვენთვის უკვე ნაცნობი ლევან გვარამია. მე რომ მიიკვინებო, სახლში საბავშვო სახლი გახსნათ, აგერ გრიგოლ ერქვანიამ, მაღაზიის გამგედ რომ მუშაობს, თვეში 60 მანეთი ხელფასი რომ აქვს, ჩემებრ ორსართულიანი სახლი ააგო და პირველი სართული ფოტოატელიეს მიაჭირავეო.

გვინდოდა ამ ფოტოატელიეს აპარატით გადაგვეღო სურათი გრიგოლის სახლისათვის, მაგრამ ატელიე დაკეტული დაგვიხვდა.

ახლა ცოტა აღმოსავლეთისაკენ გადმოვინაცვლოთ და გავიხსენოთ ის ადგილი, სადაც ჯვარი დგას და სვეტიცხოველია აღმართული. თბილისელთაგან ბევრმა გაიწია საქართველოს ძველი სატახტო ქალაქისაკენ და, თუ ძველად მცხეთელები თბილისელებს ახალი ქალაქის აგებაში ეხმარებოდნენ, ახლა თბილისელები მცხეთას უხდიან ვალს და მის შემოგარენს ახალმოდური სრა-სასახლეებით ამშვენებენ. აქ ძნელად თუ გაუკვირდება ვინმეს რაიმე ტაძრის აგებაც კი, მაგრამ ანდრო გაბადაძემ დაამტკიცა, რომ არსაკიძეზე არანაკლები ვაჟაკია. მართალია, ხეკორძულას წყალი არ უსვამს, მაგრამ ისეთი სასახლე ააგო მცხეთაში (იხ. სურ. 3), რომ, თუ საშუალო არა, დაწყებითი სკოლა მაინც მოთავსდება თავის შტატთანად. მხოლოდ ანდროს „პობედის“ გამოყვანა დასჭირდება ბაღ-ვენახიდან, რათა ბავშვებს მეტი გასაქანი ჰქონდეთ. რა? თვითონ ანდრო სად წავიდეს? ნუ გეფიქრებთ, ქუჩაში არ დარჩება. თბილისში, ჩელუსკინელების ქ. 23 ნომერში, ახალი ორმოცდარვაკვადრატულმეტრისანი სახელმწიფო ბინა აქვს თავისი სათავსოებით. თუმცა ანდრო ორმოცდაშვიდი წლის კაცია, მაგრამ ჯერჯერობით დაუოჯახებელია და, კიდევაც რომ დაოჯახდეს, ერთი ორი მეგვიდრეც შეეძინოს, თუნდ ფუტკარივით გამრავლდეს და სკაც ჩაიდგას, მაინც ვიწროდ არ იქნება.

მართლაც საოცარი მწერია ფუტკარი, ფიჭას ზომიერად აგებს, რომ მარტო თვითონ ეყოს, არც მეტი, არც ნაკლები. ჭემმარტი მშრომელს ჰგავს ფუტკარი, ბუზივით უქმად არ ბზუის. ჩვენც ეს წერილი იმათთვის მიგვიძღვნია, ვინც ბზუის, ფუტკართან კი ტყუის.

ბ. ჯაფარიანი
ბ. კატარაძე



ჭიჭისაჲ ჭიჭის



თ ა ვ ბ ე დ ა ს ა ვ ე ლ ი

ჭიჭა იყო ოცდაცხრის,
ჭიჭა — ოცდათერთმეტის,
სმისგან სახის იერი
ჰჭონდათ ოდნავ ჩერჩეტის.

ვინ დათვლიდა მათ მიერ
ღვინის კასრებს გამოცლილს,
წლოვანებით ორთავე
ერთად იყვნენ სამოციის.

ორ წელს ერთად ისწავლეს
იურიისპრუდენცია,
ორმა თითო ორ-ორჯერ
მოისმინა ლექცია.

ორივენი მეორე
კურსიდანვე გარიცხეს
და რუსთველის პრესბუტზე
ხეტიალი დაიწყეს.

ბოლოს გაწყდა, გაშორდა
მათი გზები კარგა ხნით,

ჭიტამ ხელი არ დაჰკრა,
ჭიჭას ჩაუნისკარტა:
— სხვა ვერაფერ ვერ ნახე
ჩემი ცოლისდის გარდა? —

მწარედ გაწბილებული
შეხტა ჭიჭა, აენტო:
— შენ არ გინდა, რომ გვჭონდეს
ქვისლებს ჭერი საერთო?

— შენ არ გინდა, რომ გვჭონდეს,
პურ-მარილი ზიარი
და ორივეს გვივლიდეს
გულკეთილი სიმამრი?

შენ არ გინდა — ძმაცაცებს
ერთი გვჭონდეს სახლ-კარი?
მწარედ რისთვის ჩაფიქრდი?
აჰა, ხელი... დაჰკარი! —

ჭიტამ ჩაფიქრებულმა
ჭიჭას უხმოდ შეხედა

დასაწუნი არა მაქვს
არც ოჯახი, არც გვარი,
შენი ქვისლი გამხადე,
აჰა, ხელი დაჰკარი! —

ჭიტას ხელი არ შეხვდა
ძმურ მარჯვენას გამოწვედილს,
ცივად წაუპოტინა
არყის ჭიჭას გამოცლილს.

მეცამეტედ აავსო
არყის ჭიჭა ჭიტამ და
თქვა: — მოგიკვდე, არ მახსოვს,
ბოლოს ცოლად ვინ მყავდა.

ჯერ ცხოვრება წინ არის,
თუ ოდესმე შევინდე,
მოდი, ტკუას გასწავლი.
ცოლი მყავდა მეშვიდე.

რომ შევირთავ მერვე ქალს,
გინდა ჩემი ცოლისდა? —



ჭიტამ ცოლი შეირთო
მეზობლების კარნახით.

ჭიჭა მიტოვებული
დარჩა, როგორც ობოლი,
მოსკოვისკენ წაიღო
დაფნის მწვანე ფოთოლი.

ჩასვეს იგი ციხეში,
როგორც სპეკულიანტი...
შუბლი წამოეზარდა,
შეეცვალა სიფათი.

სამ წელიწადს „რაინდი“
გრძნობდა ზამთრის სიგრძილს,
აგინებდა, წყველიდა
დაფნას, დაფნის გვირგვინებს.

ბოლოს ჭიჭა აღმოჩნდა
გარეთგამოშვებული,
გამხიარულებული
და შეზარხოშებული.

ჭიტას ჭიჭა შემოხვდა
„დარიალში“ ერთხელ და
უთხრა — რა გქნა, ძმობილო,
თავზე თმები შეთხელდა.

გგებ რამე გააწყო,
მარტოობა მომწყინდა,
ხვალვე უნდა გამაცნო
შენი კარგი ცოლისდა, —
უთხრა და თან მარჯვენა
გაუწოდა, — მოვიდა?! —

და თან გულში დასწყევლა
ძველ ძმაცაცთან შეხვედრა,

იუარა, მეორედ
ხელი ხელზე არ დაჰკრა
და ცეცხლივით არაყი
გულმოსულმა გადაჰკრა.

ჭიჭა აღარ მოსცილდა
ჭიტას, როგორც მაჭანკალს,
ხან ბასრ დანას აწვდიდა,
ხან საფხე ბოთლს, ხან ჩანგალს:

— აჰა, თავში ჩამკარი
დანა, ბოთლი, ჩანგალი,
ან მიჩვენე გზა-კვალი,
ანდა აქვე ჩამკალი!

შენს ცოლისდას სიმამრი
გათხოვებს სულ სხვაზე,
ვიღაც ღლაპი ციგანი
დაგიკვდება სუფრაზე.

წაგლეჯს ზიარ მანქანას,
თავბედს დაგაწყველინებს,
განცხადებას გაყრისას
ცხრაჯერ დაგაწერინებს.

შენივ თავი დაგჩაგრავს
ხასიათს, სირბილით,
სასამართლოს კიბეებს
გაცვეთინებს სირბილით.

მე კი... შენთან ვიქნები,
ტკბილი, როგორც შაქარი,

ეტყვის ჭიჭა მეგობარს, —
— აჰა ხელი, მოვიდა? —

ჭიტას ახლა მრისხანედ
თვითონ ჭიჭა შეხედავს,
თან დასწყველის ძმობილთან
უკანასკნელ შესხვედრას...

...მაგრამ უკანასკნელად
კი არ შეხვდნენ, ნამდვილად
ჭიტამ ჭიჭა იმ დღესვე
დაჰატიქა სადილად.

სხვის ოჯახში ბიჭები
სუფრას როცა მოუსხდნენ,
რას ამბობდნენ, მკითხველო,
გულისყურით მოუსმენ?

გოგმანებდა მათ ახლოს
ორი გვრიტი, ორი და.
— მე შევირთავ უფროს დას!
— ხელი მომე, მოვიდა?

ჭიჭა, როგორც საქვისლო,
საქვისლოსთან მორიდდა.
სასიმამრო შემთვრალი
სასიძობებს კოცნიდა:

— ჰოი, თქვენი ჭირიმე,
ორი ჭირი მომცილდა. —
ორ კვირაში ორი ძმა
წყვილად დაგვიქორწილდა.

თბილისში და ოდიშში
მეც ვიყავი ქორწილში
და რაც მოხდა ოდიშში,
ჯერ ვერ გეტყვით, ბოდიში!

ლაუფიწყარია 14 ივლისი თბილისელი მაყურებლისათვის. მაგრამ ძალიან ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ მატჩი მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის ანგარიშით 6:4 დამთავრდა და ამით მორჩა ყველაფერი. არაფერიც. იმავე დღეს, იმავე სტადიონზე, იმავე მოედანზე, იმავე საათზე, ოღონდ სხვა შემადგენლობით, შესდგა არანაკლებ საპასუხისმგებლო მატჩი: ჩემსა, ჩემსავით გაუბედურებულ რამდენიმე მოქალაქესა და „ქარიშხალას“ სტადიონის დირექციას შორის. ამ თამაშს არავინ არ სჯიდა და ამიტომ ეს მატჩი „ქარიშხალას“ დირექციის სასარგებლოდ დამთავრდა ანგარიშით 1:0.

როგორ? ა, ბატონო!
— მეგობარო, უკაცრავად, მაგრამ ფეხბურთი ტრამპაი არ არის და ადვილს ვერ დაგიტოვებთ, გთხოვთ დამიჯალთო ჩემი ადგილი, — ვეუბნები ჩემს ადგილზე დაღეშქელიანივით გამოქვიშულ მამაკაცს.

— დასავლეთი ტრიბუნა, სექტორი № 9, რიგი № 22, ადგილი № 21, ფასი 1 მანეთი. — წაუკითხე ბილეთი. ბილეთი ჩამომართვა, ირონიულად შემომხედდა და ბილეთი უკან დამიბრუნა, — ახლავე აქედან გაიპარე, შე ლაწირაკო!

— რაშა, ბატონო, საქმე, რა ჩავიდინე სალაწირაკო!

— რა და ავსტრიის ბილეთით რომ შემოდინხარ, არა გრცხვენია?

— რას ქვია ავსტრია! — ვიყვირე მე მოთმინებიდან გამოსულმა.

— ავსტრია იმას ქვია, გერმანიის გვერდით რომ სახელმწიფოა და მაგი ბილეთი თერთმეტი რიცხვისაა!

დავხედე ბილეთს და თვალთ დამიბნელდა. როდესაც თვალეები გავახილე, დაახლოებით ასეთი აკომპანიმენტით გადავდიოდი ხალხის თავზე ნაყინის ცარიელი ყუთივით:

კლავი 6:4, კლავი 1:0

— ისროლე აუტში, ეგ „დურაკი“!

— აქეთ ჩამოაწოდე, თუ ძმა ხარ!

— აახიე ყური და მეორეჯერ არ იყიდის ხელზე ბილეთს!

— რა გაგარინივით ჰაერში ათამაშებ. გადააგდე ქვევით!

ვილაცამ ჩამომსვა და კიბეზე თავის გვერდით ჩამეკუჭა.

— ე, მაიმუნო, თავი მოიჭერი!

— ამაზე მეტი თავის მოჭრა თუ შეიძლება, კი, ბატონო! — ვთქვი და ჭალარა თავზე ხელი გადავისვი.

— ლაპარაკი! — გამიჯავრდა მილიციელი. — თამაში დაიწყო.

ანგარიშმა ოთხით სამს რომ მიაღწია, მეზობელს ვკითხე:

— ვის სასარგებლოდაა, თუ იცით?

— ვინ უშვებს ამ ჯიხვებს სტადიონზე? — იყვირა მან.

— მესხი სადაა ახლა ნეტავი? — ისევ ვიკითხე ხუთით ოთხზე.

— გოლში დგას, პენალტს ურტყამენ! — მომიბრუნდა ვილაც.

გავთამამდი და ექვსით ოთხზე ისევ ვიკითხე:

— ჩოხელი რას შვრება?

— ახლა კარგად არის, არა უშავს!

ჩოხელი კი კარგად არის და ღმერთმა კარგად ამყოფოს, მაგრამ ნეტავ „ქარიშხალას“ სტადიონის დირექცია როგორ არის 14 ივლისს 11 ივლისის ბილეთები რომ გაყიდა? რაც მე და ჩემისთანები იმ დღეს გვაგინეს და გვლანძღეს, იმის ალავერდს „ქარიშხალას“ დირექციასთან გადავდივართ. პირადად მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ამით დირექციამ ფული გააკეთა, მაგრამ, მე რომ საქმე გამიკეთა, განგებას ვთხოვ, ზუსტად ისეთივე დღეში ჩააგდოს ამ უახლოეს დროში, როგორშიც მე ვიყავი 14 ივლისს, ამ ისტორიული მატჩის დღეს.

აუტსაიდერი

პროფილაქსია ეროვნული ბიბლიოთეკა

კაბინეტში მაგიდასთან ზიხარ მკაცრი იერიითა და ბრძანებებს დასტა-დასტად გზავნი კონვეიერით.

იბღინებში, ჩირად არ გვთვლი, ახლოს აღარ გვეკარები და გულვიით, ყველასათვის ჩაგიკეტავს უკარები.

მზეს და სალხს რომ დაემალე და საფარქელს ტანჯავ ლეწით, გაინძერი, თორემ მალე თავს გიკრავენ სანაგვეში.

არჩილ გურჯია

საქმისა

რესპუბლიკის მთელ რიგ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს არ ამარაგებენ ახალი ბოსტნეულით.



ნან. ზ. ლევაჯი

— ყოველდღე რომ ერთი და იგივე კერძით გვიმასპინძლებით, მწვანელი მაინც მოგვიტანე!
— ჩვენი სანატორიუმში მთლად მწვანეშია ჩაფლული და მწვანელი რაღად ვინდათ!

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუშაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. კელიძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 2-76-69, ხაერთო განყოფილების — 8-10-49

ბელმოწ. დასაბ. 31/VII-1961 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა ჩაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა ჩაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შუკ. № 1368, შუკ. 02590 ტირაჟი 4000



№ 752
1961 წ. 19/სი



ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები იყენებენ მათ მიერვე ხელოვნურად შექმნილ „დასავლეთ ბერლინის კრიზისს“ და ეწევიან გამაღებულ შეიარაღებას, რაც მძიმე ტვირთად აწევა ამერიკის მოსახლეობას.

(გაზეთებიდან).

გამაღებულ შეიარაღების გზის მოკიდრფვლა ნაპარცვი დოლარებით.